მედეგობის, კონტროლის ლოკუსისა და პროფესიული გადაწვის როლი ფსიქიკურ კარგად ყოფნაში კრიზისული ინტერვენციების განმახორციელებელ პირებში

სალომე ბანეთიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის საგნის კრედიტის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია შეყრილაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია სასწრაფო-სამედიცინო და სახანძრო-სამაშველო სამსახურში დასაქმებულ პირებში პროფესიული გადაწვის, მედეგობისა და კონტროლის ლოკუსის როლის შეფასება ფსიქიკურ კარგად ყოფნასთან მიმართებით. კრიზისული ინტერვენციების განმახორციელებელ ჯგუფებში, რომლებსაც მუდმივად უწევთ სტრესის პირობებში ფუნქციონირება, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ როგორ მუშაობს პიროვნული რესურსები (მედეგობა და კონტროლის ლოკუსი) გადაწვის პრევენციისა და ზოგადი ფსიქიკური კარგად ყოფნის ხელშეწყობისთვის.

კვლევის ფარგლებში რაოდენობრივი მეთოდოლოგიის საშუალებით გამოიკითხა, ზემოთ აღნიშნულ პროფესიულ ჯგუფებში დასაქმებული, 86 პირი. მონაცემთა სტატისტიკური დამუშავებისთვის გამოყენებულ იქნა პირსონის (Pearson) კორელაციური ანალიზი და მრავალფაქტორული რეგრესიული ანალიზი (SPSS პროგრამის მეშვეობით).

სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მედეგობასა და პროფესიულ გადაწვას შორის გამოვლინდა ძლიერი ნეგატიური კავშირი (r= -.563, p< .001), ხოლო მედეგობასა და ფსიქიკურ კარგად ყოფნას შორის, საშუალო სიძლიერის დადებითი კავშირი (r= .444, p< .001). კონტროლის ლოკუსის ქვესკალების ანალიზმა გამოვავლინა, რომ კონტროლის გარე ლოკუსი სტატისტიკურად სარწმუნოდ და დადებითად უკავშირდება პროფესიულ გადაწვას (r= .344, p= .001), ხოლო კონტროლის შიდა ლოკუსი - ნეგატიურად (r= -.344, p= .001). მრავალფაქტორულმა რეგრესიამ კი დაადასტურა, რომ როდესაც მოდელში ერთდროულად მონაწილეობს ყველა ცვლადი (მედეგობა, პროფესიული გადაწვა, კონტროლის ლოკუსი), ფსიქიკური კარგად ყოფნის უმთავრეს პრედიქტორებად გვევლინება პროფესიული გადაწვა (უარყოფითი გავლენით, β= -.408, p= .002) და მედეგობა (დადებითი გავლენით, , β= .245, p= .047), ხოლო კონტროლის ლოკუსის დამოუკიდებელი ეფექტი ამ ფონზე სტატისტიკურად სარწმუნო არ აღმოჩნდა (p= .969).

კვლევის შედეგები ხაზს უსვამს ორგანიზაციებში თანამშრომელთა მედეგობის გაძლიერებისა და გადაწვის რისკების შემცირების აუცილებლობას, რაც პირდაპირ აისახება დასაქმებულთა ფსიქიკურ კარგად ყოფნაზე.

Abstract

The purpose of this study is to evaluate the role of professional burnout, psychological resilience, and locus of control in relation to the mental well-being of emergency medical and fire-rescue service personnel. In these crisis intervention groups, who constantly operate under hight-stress conditions, it is crucial to determine how personal resources (resilience and locus of control) function to prevent burnout and promote overall mental well-being.

Utilizing a quantitative methodology, the study surveyed 86 individuals employed in the aforementioned professional groups. Data analysis was conducted using Pearson correlation and multiple regression analysis (via SPSS software).

Statistical analysis revealed a strong negative correlation between resilience and professional burnout ($r = -.563$, $p < .001$), and a moderate positive correlation between resilience and mental well-being ($r = .444$, $p < .001$). The analysis of the locus of control sub scales revealed that external locus of control is statistically significantly and positively correlated with burnout ($r = .344$, $p = .001$), while internal locus of control is negatively correlated ($r = -.344$, $p = .001$). Furthermore, multiple regression analysis confirmed that when all variables (resilience, burnout and locus of control) are included in the modes simultaneously, the primary predictors of mental well-being are burnout (with a negative effect, $\beta = -.408$, $p = .002$) and resilience (with a positive effect, $\beta = .245$, $p = .047$), whereas the independent effect of locus of control was not statistically significant in this contest ($p = .969$).

The findings of this study emphasise the necessity of strengthening employee resilience and mitigating burnout risks within organisations, as these factors directly impact the mental well-being of the workforce.